ჯგუფი ენერგო-პრო

კორუფციის და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა

2023

ENERGO-PRO

კორუფციის და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა
აღმასრულებელი დირექტორის მიმართვა

ძვირფასო კოლეგებო,

ENERGO-PRO a.s. (შემდგომში „კომპანია“), ჯგუფში შემავალ კომპანიებთან ერთად (შემდგომში „ჯგუფი“)[1] ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში წამყვანი ჰიდროენერგეტიკული ოპერატორი, ელექტროენერგიის დისტრიბუტორი და მიმწოდებელია, რომელიც ენერგიაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებას და აქტიურად განვითარებადი რეგიონის საჭიროებებს ემსახურება.

ჩვენ ვამაყობთ ჯგუფის მიღწევებით და დღევანდელი მდგომარეობით. ეს თითოეული ჩვენგანის ბიზნესია და ჩვენ ის უნდა დავიცვათ.

უნდა გავიაზროთ, რომ მზარდ ბაზარზე, რეგულირებად სექტორებში და სხვადასხვა მომწოდებელთან მუშაობისას, მომხმარებელთან და/თუ სხვა სუბიექტებთან ურთიერთობისას, არსებობს კორუფციის, ფულის გათეთრებისა და სხვა უკანონო ქმედებების რისკები. ეს რისკები იქმნება როგორც საჯარო მოხელეებთან, ასევე ბიზნეს პარტნიორებთან ურთიერთობისას.

ერთი ადამიანის კორუმპირებულობამ შესაძლოა სერიოზული ზიანი მოგვაყენოს და ყველა ჩვენგანის დისკრედიტირება მოახდინოს, მათ შორის ინვესტორების და მსესხებლების თვალშიც.

თუმცა, ჩვენ ყველა ერთად, პატიოსნად მუშაობით აუცილებლად შევქმნით რაიმე ღირებულს. ეს ღირებულება უნდა დავიცვათ და განვავითაროთ საქმიანობის ყველა სფეროში.

მიზნის მისაღწევად, ყველამ უნდა დავიცვათ ამ პოლიტიკის მოთხოვნები. ამიტომაც, გთხოვთ გამონახოთ დრო და გაეცნოთ ამ დოკუმენტს. კოლეგები ჩაგიტარებენ ტრეინინგს და მოგცემენ კითხვების დასმის და კომენტარების გაკეთების შესაძლებლობას. გთხოვთ ეს დოკუმენტი გამოიყენოთ ყოველდღიურ საქმიანობაში როგორც რესურსი, რომელიც გეხმარებათ ეთიკური საკითხების გადაჭრასა და კეთილსინდისიერად მუშაობაში.

ჯგუფის მომავალი და წარმატება თითოეული ჩვენგანის პატიოსნებაზეა დამოკიდებული.

პატივისცემით,

პეტრ მილევი
მთავარი აღმასრულებელი დირექტორი

---

1 ჯგუფში შედის DK Holding Investments, s.r.o., ENERGO-PRO a.s.-ის ერთადერთი და უშუალო აქციონერი და მისი ყველა პირდაპირი და არაპირდაპირი შვილობილი კომპანიები

1. შესავალი

ჯგუფში შემავალ კომპანიებს ურთიერთობა აქვთ საჯარო და კერძო სექტორის მრავალ სუბიექტთან. ყოველი ასეთი ურთიერთობისას, არსებობს კორუფციის და ფულის გათეთრების რისკი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ურთიერთობა შემდეგ პირებთან და სუბიექტებთან:

- ენერგო სექტორის სფეროში ინტერესის მქონე პოლიტიკოსები;
- ლიცენზიის და ნებართვის გამცემი ორგანოები;
- განახლებადი ენერგიის ტარიფების, ბონუსების და სხვა სისტემების ადმინისტრირების ორგანოები;
- კომუნალური მომსახურების ვალდებულებების გამანაწილებელი ორგანოები;
- საგადასახადო ორგანოები;
- ბაზრის ოპერატორები;
- ბაზრის ლიბერალიზაციაში მონაწილე ორგანიზაციები;
- მომხმარებლები, რომლებიც ყიდულობენ წარმოებულ ელექტროენერგიას ან განაწილების მომსახურებებს (ახალი მიერთებების და ხელახლა მიერთებების ჩათვლით);
- დისტრიბუციისთვის ელექტროენერგიის მომწოდებლები;
- მოწყობილობების, საქონლის და მომსახურებების მომწოდებლები;
- სამშენებლო კონტრაქტორები;
- პროფესიონალური მომსახურებების პროვაიდერები;
- ლობისტები;[2] და
- სესხის ან სადაზღვევო პოლისსა და ფონდში კაპიტალდაბანდების პროვაიდერები.

ამ პოლიტიკის მიზანია ზემოთჩამოთვლილ მნიშვნელოვან სფეროებში კორუფციის და ფულის გათეთრების რისკების აღმოფხვრა და შემცირება. პოლიტიკა ვრცელდება ჯგუფის ყველა მენეჯერზე (მათ შორის დირექტორებზე და სხვა მოხელეებზე), თანამშრომლებზე, სხვა კოლეგებზე (შემდგომში "თანამშრომლები") და ზოგიერთ ასოცირებულ პირზე (იხ. ნაწილი 6).

2. მიზანი

პოლიტიკის მიზანია:

- თანამშრომლების და ასოცირებული პირების კანონიერად და პატიოსნად მოქმედების უზრუნველყოფა;
- თანამშრომლებსა და ასოცირებულ პირებს შორის კეთილსინდისიერების ამაღლების ხელშეწყობა, ჯგუფის რეპუტაციის ზრდა და ურთიერთობა საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან;
- კორუფციის და მისი პრევენციის გზების განმარტება; კორუფციის ფაქტების გამოვლენის და გადაჭრის საშუალებების შექმნა; და
- ფულის გათეთრების შემთხვევების გამოვლენის და გადაჭრის გზების განსაზღვრა.

---

[2] ლობისტების გამოყენება თავისთავად ამ პოლიტიკით აკრძალული არ არის. თუმცა, ამ სენსიტიურ არეალში აუცილებელია სიფრთხილის გამოჩენა, ე.ი. მხოლოდ რეგისტრირებული ლობისტებით სარგებლობა, სადაც რეგისტრაცია მოითხოვება მოქმედი კანონმდებლობით

3. პოლიტიკის განხორციელება და მართვა

კორუფციის და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო კომიტეტი (შემდგომში "კომიტეტი") პასუხისმგებელი იქნება პოლიტიკის დანერგვაზე და მის განხორციელებაზე, ტრეინინგის ზედამხედველობის და სავარაუდო დარღვევების შიდა მოკვლევების ანგარიშების განხილვის ჩათვლით. კომიტეტი სამი წევრისგან შედგება: დირექტორთა საბჭოს ერთი წევრი, ჯგუფის ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსი (HR) და ჯგუფის გენერალური მრჩეველი იურიდიულ საკითხებში (GC).

ადამიანური რესურსების დეპარტამენტმა ორგანიზება უნდა გაუწიოს თანამშრომლებისათვის რეგულარული ტრენინგების ჩატარებას, მათ შორის უნდა განახორციელოს ელექტრონული ტრეინინგების ორგანიზება პოლიტიკის დებულებების სრულიად გაცნობის მიზნით (იხ. ნაწილი 8) და მოაწყოს სხვა შეხვედრები პოლიტიკის ეფექტური ფუნქციონირების შესახებ მოსაზრებების მისაღებად.

გენერალური მრჩეველი იურიდიულ საკითხებში რეგულარულად აფასებს ჯგუფში კორუფციის და ფულის გათეთრების რისკებს, რათა კომიტეტს შესთავაზოს შესაბამისი პრევენციული ზომები. ის ასევე ხელს უწყობს პოლიტიკის განმარტებას და ინტერპრეტაციას და მინიმუმ წელიწადში ერთხელ ატარებს მიმოხილვას, კომიტეტისთვის განახლებული ინფორმაციის მისაწოდებლად.

4. რა არის კორუფცია?

კორუფცია ნიშნავს პირის მიერ (რომელიც მოქმედებს უშუალოდ, ან შუამავლის მეშვეობით) მეორე პირისთვის რაიმეს გადაცემას საჩუქრის ან საფასურის სახით (სხვა პირისთვის გადასაცემად), უკანონო ქმედების განხორციელების სანაცვლოდ. კორუფცია ასევე გულისხმობს მეორე პირის მიერ ნივთის/საჩუქრის მიღებას. ზოგადად, არ აქვს მნიშვნელობა მიმღები საჯარო მოხელეა (ადგილობრივი ან უცხოელი), ბიზნეს პარტნიორი, თანამშრომელი თუ აგენტი. ასევე არ აქვს მნიშვნელობა შესაბამისი ნივთი (ქრთამი) ფინანსური სახისაა თუ სხვა სახის და რეალურად გადაცემულია თუ მიღებული. საკმარისია მოხდეს ქრთამის შეთავაზება, დაპირება, მოთხოვნა ან ქრთამის აღებაზე დათანხმება. ქრთამის მიმღების (ან სხვა პირის) უკანონო ქმედება ნიშნავს, რომ ეს პირი მოქმედებს ცუდი განზრახვით, ან არასამართლიანად რომელიმე პირის მიმართ.
განმარტებითი კითხვა-პასუხები მოცემულია N 1 დანართში.

5. რა არის ფულის გათეთრება?

ფულის გათეთრება ნიშნავს კრიმინალური ქმედების შედეგების გარდაქმნას კანონიერ ქონებაში ან აქტივობაში და ამ გზით ქმედების ნამდვილი წყაროს დაფარვას. ხშირად, ადგილობრივი კანონმდებლობით, ფულის გათეთრება წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს. ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედებები შეიძლება ჩაითვალოს ფულის გათეთრებად:

- ქონების გარდაქმნა ან გადაცემა, როდესაც ცნობილია, რომ აღნიშნული ქონება არის დანაშაულებრივი საქმიანობის, ან ასეთ საქმიანობაში მონაწილეობის შედეგი, ამ ქონების უკანონო წარმომავლობის დამალვის ან შენიღბვის მიზნით; ან დახმარების გაწევა ნებისმიერი პირისთვის, რომელიც მონაწილეობს ასეთი ქმედების განხორციელებაში, სამართლებრივი შედეგების თავიდან არიდების მიზნით;

- ქონების ნამდვილი სახეობის, წყაროს, ადგილმდებარეობის, განკარგვის, გადაადგილების, უფლებების, საკუთრების უფლების დამალვა ან შენიღბვა, როდესაც ცნობილია, რომ ქონება წარმოადგენს დანაშაულებრივი ქმედების ან ასეთ ქმედებაში მონაწილეობის შედეგს;
- ქონების შეძენა, ფლობა ან სარგებლობა, როდესაც ამ ქონების მიღების დროს ცნობილია, რომ ქონება წარმოადგენს დანაშაულებრივი ქმედების ან ასეთ ქმედებაში მონაწილეობის შედეგს; და
- ზემოთ ჩამოთვლილ ნებისმიერ ქმედებაში მონაწილეობის მიღება, გაერთიანება, მცდელობა ასეთი ქმედების ჩადენის მიზნით, წაქეზება, ხელშეწყობა ან კონსულტირება ზემოაღნიშნულ პუნქტებში მოცემული ქმედების განსახორციელებლად.

ამ პოლიტიკის დანართი N2 შეიცავს იმ ინდიკატორთა ჩამონათვალს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ეჭვი, რომ გარიგება უკავშირდება ფულის გათეთრებას.

6. ასოცირებული პირები

ფაქტებიდან გამომდინარე, ჯგუფის კომპანიებმა (იურიდიულმა პირებმა, არა ფიზიკურმა პირებმა) შესაძლოა ჩაიდინონ სისხლის სამართლის დანაშაული, მათთან ასოცირებულ პირთა მხრიდან ქრთამის აღების გამო. ასოცირებული პირები შეიძლება იყვნენ თანამშრომლები ან სხვა პირები, რომლებიც ამ ჯგუფის კომპანიას უწევენ მომსახურებას, მაგალითად კომერციული აგენტები ან ლობისტები. ასეთი ვითარება შესაძლოა შეიქმნას მაშინ, როდესაც ასოცირებული პირი ქრთამს აძლევს სხვა პირს, ჯგუფის კომპანიისთვის ბიზნეს უპირატესობის მოპოვების ან შენარჩუნების განზრახვით.

ბიზნეს უპირატესობის ასეთი მაგალითი შეიძლება იყოს მარეგულირებლის მიერ ხელსაყრელი სავაჭრო პირობების შექმნა (ისეთი როგორიც არის გაზრდილი ხელსაყრელი ტარიფი ან განაწილების საფასური) ან ბიზნეს პარტნიორის მიერ ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც სარგებლის მომტანია ჯგუფისთვის (ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულება). ასოცირებული პირი შესაძლოა ფიქრობდეს, რომ ის მოქმედებს ჯგუფის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, თუმცა რეალურად ჯგუფში შემავალ იურიდიულ პირს შესაძლოა დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, რასაც შედეგად მოყვება მნიშვნელოვანი ფინანსური ჯარიმა ან კომპანიის ლიკვიდაცია.

ზემოხსენებული მიზეზების გათვალისწინებით, ასოცირებულ პირთან ხელშეკრულების დადება უნდა განხორციელდეს მხოლოდ გულმოდგინე შემოწმების შემდეგ, რათა დადასტურდეს:

- ასოცირებული პირის მიერ გასაწევი მომსახურებების მოცულობა და სახეობა;
- მომსახურებების მიღების მიზანშეწონილობის დასაბუთება ბიზნეს ინტერესებიდან გამომდინარე;
- ასოცირებული პირის ვინაობა და კეთილსინდისიერება; და
- ინიციატივის ზოგადი ლეგიტიმურობა.

ჯგუფთან თანამშრომლობის დაწყებამდე, ასოცირებული პირი ვალდებულია:

- გაეცნოს პოლიტიკას და შეავსოს პოლიტიკის გაცნობის ფორმა 33-ე დანართის შესაბამისად (რომელიც აქტუალობიდან გამომდინარე, აირჩევა თანამშრომლის, მესამე მხარესთან დაკავშირებული კერძო პირის, მესამე მხარესთან დაკავშირებული იურიდიული პირის შესაბამისად) და წარადგინოს ზემოხსენებული შეთანხმებული ელექტრონული საშუალების მეშვეობით; და
- ოფიციალურად დაუდასტუროს ჯგუფში შემავალ კომპანიას, რომ არ ჩაერთვება კორუფციაში.

ჯგუფში შემავალი ნებისმიერი კომპანიის ხელმძღვანელობას (რომელიც მოქმედებს კეთილსინდისიერად და სათანადო ზრუნვით), შეუძლია შეზღუდოს ზემოაღნიშნული მოთხოვნის გამოყენება იმ რისკის დონის პროპორციულად, რომელსაც უქმნის ნებისმიერი ასოცირებული პირი კომპანიას, ამ პირის მიერ გასაწევი მომსახურებების სახეობის ან მათი ღირებულების მიხედვით.
ჯგუფში შემავალი კომპანიის ასოცირებული პირები ვალდებულნი არიან იმოქმედონ პატიოსნად და მიმართონ შესაბამის ზომებს კორუფციის პრევენციისთვის.

საჭიროებისამებრ, ჯგუფში შემავალ კომპანიასა და ასოცირებულ პირს შორის გასაფორმებელ ხელშეკრულებას ხელს აწერს კომპანიის ორი წარმომადგენელი. „ოთხი თვალის პრინციპი“ შეამცირებს ამ პოლიტიკის სტანდარტებთან ხელშეკრულების შეუსაბამობის რისკს.

7. სპეციფიკური ქცევები

საჩუქრები და წარმომადგენლობითი ხარჯები

საჩუქრები და წარმომადგენლობითი ხარჯები ნებადართულია ჯგუფში, თუ ისინი არის გონივრული, რაციონალური, მიზნების პროპორციული და ამ მიზნების მისაღწევად არის განკუთვნილი. უფრო კონკრეტულად, შეუსაბამოდ მიიჩნევა ის შემთხვევები, თუ გარიგება შედგება მხოლოდ რაიმე საჩუქრის ან წარმომადგენლობითი ხარჯის შედეგად, ან მათთან დაკავშირებით.

იმისათვის, რომ დადგინდეს, აკმაყოფილებს თუ არა ზემოხსენებულ კრიტერიუმებს კონკრეტული საჩუქარი ან წარმომადგენლობითი ხარჯი, თანამშრომელმა ან ასოცირებულმა პირმა უნდა გაითვალისწინოს ის გარემოებები (მათ შორის მონაწილე პირები, ადგილი და დრო) და მიზეზები რისთვისაც იყო ეს საჩუქარი/წარმომადგენლობითი ხარჯი განკუთვნილი.

აკრძალულია საჩუქრის გადაცემა ან მიღება ფულადი სახით (ნაღდი ფული, საბანკო გადარიცხვა, წინასწარ გადახდილი ბარათები და სხვ.) ან ექვივალენტური ნივთების სახით (ოქრო, საიუველირო ნაწარმი, ვაუჩერები, ფინანსური დოკუმენტები და სხვ.).

საჩუქრის ან წარმომადგენლობითი ხარჯის მიღება/გაცემა:

- რომლის ღირებულება აღემატება 75 აშშ დოლარს (ან ექვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში), უნდა შეტყობინებულ იქნეს;
- რომლის ღირებულება აღემატება 150 აშშ დოლარს (ან ექვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში), უნდა დამტკიცდეს; ან
- რომლის ღირებულება აღემატება 300 აშშ დოლარს (ან ექვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში), არ უნდა მოხდეს; ან, მიღების შემთხვევაში, უსასყიდლოდ გადაცემულ უნდა იქნეს საქველმოქმედო მიზნებისთვის.

ყველა ზემოხსენებული შეტყობინება (მოხსენება, ანგარიში) და მოთხოვნა დამტკიცების შესახებ უნდა წარედგინოს მე-4 დანართში აღწერილი პროცედურის შესაბამისად.

ჯგუფში შემავალი ნებისმიერი კომპანიის ხელმძღვანელობას შეუძლია (კომიტეტთან კოორდინაციით) დააწესოს ზემოთ მოცემულზე უფრო დაბალი ზღვარი (ლიმიტი), თუ ამას მოითხოვს კანონმდებლობა, რომლის შესაბამისადაც დაფუძნებულია და მოქმედებს ჯგუფში შემავალი კომპანია.

ჯგუფში შემავალი კომპანიის ყველა თანამშრომელი და ასოცირებული პირი ვალდებულია აწარმოოს საჩუქრის/წარმომადგენლობითი ხარჯის მიღება/გაცემის შესაბამისი დოკუმენტური აღრიცხვა. ამ დოკუმენტური აღრიცხვაში უნდა ფიქსირდებოდეს ფაქტიურად გაწეული ხარჯები.

ასოციაციების და ორგანიზაციების სპონსორობა ან მათთვის შეწირულობების გაღება, პრომო-აქციები

დაუშვებელია რომელიმე პოლიტიკური პარტიისა და/ან მოძრაობის დასპონსრება ან დონაცია. ეს გულისხმობს პოლიტიკოსებს ან/და ნებისმიერ საჯარო კანდიდატებს.

ამავდროულად ჩვენს თანამშრომლებს ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ პროცესებში სამუშაო საათების მიღმა (განვმარტავთ, რომ ისინი არ წარმოადგენენ ჩვენს კომპანიას რაიმე სახით/რაიმე გზით) პოლიტიკური ჩართულობა კომპანიის ან ჯგუფის მხრიდან დაუშვებელია.
ასოციაციების ან სხვა ორგანიზაციების სპონსორობა ან მათთვის შეწირულობების გაღება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ გულმოდგინე შემოწმების შემდეგ, რათა დადასტურდეს:

- სპონსორობის ან შეწირულობის მოცულობა და სახეობა;
- სპონსორობის ან შეწირულობის მიზანშეწონილობის დასაბუთება ბიზნეს ინტერესებიდან გამომდინარე;
- მიმღების ვინაობა და კეთილსინდისიერება; და
- ინიციატივის ზოგადი ლეგიტიმურობა.

სპონსორობის ან შეწირულობის ფორმა და ვადა უნდა შეესაბამებოდეს ამ პოლიტიკის პირობებს.

საბუღალტრო დოკუმენტების მომზადება და კონტროლი

ჯგუფს გააჩნია შიდა აუდიტის ეფექტური სისტემა თავის საბუღალტრო წიგნებთან და ჩანაწერებთან მიმართებაში.

ჯგუფი აწარმოებს სააღრიცხვო კონტროლს, რათა უზრუნველყოს, რომ ფინანსური ანგარიშები შეესაბამება საყოველთაოდ მიღებულ საბუღალტრო პრინციპებს, მოქმედ კანონმდებლობას ან/და IFRS.

შიდა კონტროლის სისტემები მოიცავს კონტროლის სპეციფიური საშუალებებს სხვადასხვა ორგანიზაციულ დონეზე, სათანადო ოპერატიული განხორციელებით.

8. ტრეინინგი

ეს დოკუმენტი გამოქვეყნდება კომპანიის ვებგვერდზე და გაეგზავნება ყველა ახალ თანამშრომელს, რომელმაც უნდა შეავსოს დოკუმენტის გაცნობის ფორმა, მე-3 დანართის შესაბამისად შეთანხმებული ელექტრონული საშუალების მეშვეობით.

ადამიანური რესურსების დეპარტამენტი უზრუნველყოფს ტრეინინგების ჩატარებას პოლიტიკის მოთხოვნების დაცვის საკითხზე. ადამიანური რესურსების დეპარტამენტი კომიტეტს მინიმუმ წელიწადში ერთხელ, ან მოთხოვნისამებრ წარუდგენს ტრეინინგების შეჯამებას.

ENERGO-PRO

ტრეინინგის პროგრამა იყოფა შემდეგი დონეების მიხედვით:

- მენეჯმენტი და თანამშრომლები, რომლებიც ყველაზე მეტად არიან კორუფციის და ფულის გათეთრების რისკის ქვეშ;
- სხვა თანამშრომლები.

ტრეინინგის, მათ შორის ელექტრონული კურსების გავლა ყველა თანამშრომლისთვის სავალდებულოა.

ტრეინინგში ძირითადად აქცენტი კეთდება მოქმედ კანონმდებლობაზე, პოლიტიკის მოთხოვნებზე და კორუფციის და ფულის გათეთრების პრევენციის პრაქტიკულ მეთოდებზე.

ადამიანური რესურსების დეპარტამენტი უზრუნველყოფს ყველა თანამშრომლის მიერ ტრეინინგის გავლას მინიმუმ ყოველ სამ წელიწადში ერთხელ.

9. ანგარიშგების ვალდებულება და შიდა მოკვლევები

ყველა თანამშრომელმა და ასოცირებულმა პირმა უნდა შეატყობინოს იმ დარღვევების შესახებ, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა და რომლებიც შესაძლოა წარმოადგენდნენ კორუფციას ან ფულის გათეთრებას. ჯგუფმა მოამზადა „მხილების“ პოლიტიკა, რომელიც ეხება რეპორტინგის პროცესს და ნებისმიერ შემდგომ გამოძიებას და ქმედებას, რომელიც მიღბულ იქნა იმავე ბაზაზე.

შეტყობინების განხორციელების პროცესი კონფიდენციალურია და შეტყობინების განმახორციელებელი პირი სრულად არის დაცული უსამართლო მოპყრობისგან.

ინფორმაციის დაფიქსირება ხდება N5 დანართში აღწერილი პროცედურის შესაბამისად.

თითოეული განცხადების საფუძველზე, დაიწყება შიდა მოკვლევის პროცედურა N6 დანართის შესაბამისად.

10. შედეგები

ჯგუფს აქვს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა კორუფციის და ფულის გათეთრების მიმართ[3]. კორუფციაში ან ფულის გათეთრებაში ჩართულ ნებისმიერ თანამშრომელს დაეკისრება დისციპლინარული პასუხისმგებლობა და შესაძლოა გათავისუფლდეს სამსახურიდან. ასოცირებულ პირთან გაფორმებული კონტრაქტი შესაძლოა შეწყდეს.

თუ ჯგუფში შემავალი კომპანიისთვის ცნობილი გახდება კორუფციის ან ფულის გათეთრების შემთხვევის შესახებ, მას შესაძლოა ქონდეს სამართლებრივი ვალდებულება ფაქტის შესახებ აცნობოს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს. ჯგუფში შემავალი კომპანია ყოველთვის გაითვალისწინებს ამ ვალდებულებას.

[3] ჯგუფში შემავალ კომპანიებს, რომლებიც ითვლებიან "ვალდებულ" სუბიექტებად ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ადგილობრივი კანონმდებლობის კონტექსტში, მოეთხოვებათ დაიცვან ფულის გათეთრების საწინააღმდეგი სპეციფიური მოთხოვნები.

11. მონაცემთა დაცვა

N7 დანართში აღწერილია ჯგუფში შემავალი კომპანიების უფლება, როგორც მონაცემთა ადმინისტრატორებმა მოახდინონ თანამშრომლების და ასოცირებული პირების მონაცემების დამუშავება რომლებიც აფიქსირებენ დარღვევას (როგორც განმარტებულია ზემოთ) ან ჩართულნი არიან დარღვევის დაფიქსირების შედეგად დაწყებულ შიდა მოკვლევაში. ჯგუფმა მოამზადა მონაცემთა დაცვის/უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც ეხება (სხვა საკითხებს შორის) რეპორტინგის პროცესს და ნებისმიერ შემდგომ/გვიან გამოძიებებს და ქმედებას, რომელიც მიღებულია მსგავს ბაზაზე.

12. ძალაში შესვლა

პოლიტიკის ეს ვერსია ძალაში შედის 2023 წლის 30 სექტემბრიდან და ამ თარიღიდან სრულად ჩაანაცვლებს პოლიტიკის ნებისმიერ ადრეულ ვერსიას.

პოლიტიკის დანართები:

1. კითხვა-პასუხები კორუფციის საკითხებზე;
2. ფულის გათეთრების ფაქტების ინდიკატორები;
3. პოლიტიკის გაცნობის დადასტურების ფორმა;
4. საჩუქრების და წარმომადგენლობითი ხარჯების კატეგორიზაცია;
5. დარღვევების ანგარიშგების პროცედურა;
6. შიდა მოკვლევის პროცედურა;
7. მონაცემთა დაცვა.

დანართი 1

კითხვა-პასუხები კორუფციის საკითხებზე

რა არის ქრთამი?

მოცემულ კონტექსტში, ქრთამი არის ფინანსური ან სხვა სახის უპირატესობა.

ფინანსური უპირატესობა ნიშნავს ნაღდ ფულს, თუმცა შესაძლოა ასევე ნიშნავდეს საბანკო გადარიცხვას, წინასწარ გადახდილ ბარათებს, სასაჩუქრე ბარათებს, სესხებს, სუბსიდიებს, ახალ ან გაზრდილ აქტივს, პასუხისმგებლობის შემცირებას, აქტივით თავისუფალ სარგებლობას, პირად ქონებას (მაგ. მანქანა, საიუველირო ნაწარმი, ძვირფასი მინა ან ფაიფური), უძრავი ქონება (მაგ. საცხოვრებელი ბინა), მოგზაურობა ქვეყნის შიგნით ან საზღვარგარეთ, ან გართობა (მაგ. კონცერტის ბილეთი ან მოსაწვევი, სპორტულ ღონისძიებაზე ან კონფერენციაზე მოსაწვევი/ბილეთი).

სხვა უპირატესობებში შედის არაფინანსური ღირებულების უპირატესობები, რომლებიც შესაძლოა მაინც აკმაყოფილებდეს გარკვეულ საჭიროებას ან სურვილს, როგორიცაა დასაქმების, დაწინაურების ან სექსუალური ხასიათის აქტივობის შეთავაზება.

ვინ შეიძლება იყოს ჩართული კორუფციაში?

საერთაშორისო ანტიკორუფციული კანონმდებლობა და ეს პოლიტიკა ვრცელდება საჯარო სექტორში დასაქმებულ პირებზე (ადგილობრივი და უცხოელი საჯარო მოხელეები), ასევე კერძო სექტორზე (ბიზნესში ჩართული პირები, თანამშრომლები და კომერციული აგენტები).

ამ პირებისგან მოელიან კეთილსინდისიერ, სანდო ან/და მიუკერძოებელ მოქმედებას. თუ ასეთი პირები ქრთამის გამო შეუფერებლად მოიქცევიან (ეს შეიძლება იყოს გარკვეული გზით გარკვეული მოქმედების ჩადენის გამოწვევა, ან ჯილდო იმისთვის, რომ ასე მოიქცნენ), ამ შემთხვევაში როგორც ქრთამის მიმცემი, ასევე ქრთამის ამღები მონაწილეობენ კორუფციაში.

არის თუ არა კორუფცია სისხლის სამართლის დანაშაული?

არის. ამასთან, ქრთამის მიმცემის გამო შესაძლოა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისროს იმ კომპანიასაც, რომელთანაც იგი კავშირშია, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

აქვს თუ არა მნიშვნელობა ვინ იღებს ქრთამს?

არა. არ აქვს მნიშვნელობა, უკანონოდ იქცევა ქრთამის მიმღები თუ სხვა პირი.

ასევე არ აქვს მნიშვნელობა, რეალურად შეუძლია თუ არა ქრთამის მიმღებს გავლენა მოახდინოს საჯარო მოხელის გადაწყვეტილებაზე ან ქმედებაზე. შესაბამისად, ე.წ. გავლენით სარგებლობა შედის საერთაშორისო ანტიკორუფციული კანონმდებლობის და ამ პოლიტიკის კომპეტენციაში.

აუცილებელია თუ არა ქრთამი ფაქტიურად იყოს მიცემული ან აღებული?

არა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქრთამი ფაქტიურად არ არის მიცემული ან აღებული, შეთავაზება, დაპირება, მოთხოვნა, ან მიღებაზე თანხმობა თავისთავად არის კორუფცია და სისხლის სამართლის დანაშაული.

შეიძლება თუ არა, რომ მცირე მოცულობის ფინანსური ან სხვა უპირატესობა ჩაითვალოს ქრთამად?

შეიძლება, თუ ფინანსური ან სხვა უპირატესობა გაიცემა უკანონო ქმედების სანაცვლოდ, როგორც აღწერილია ზემოთ.

შეიძლება თუ არა, რომ საჯარო მოხელეს გადაეცეს საჩუქარი მადლობის ნიშნად?

როგორც წესი, თანამშრომლებმა და ასოცირებულმა პირებმა არ უნდა გადასცენ საჩუქრები საჯარო მოხელეებს.

თუმცა, შესაძლოა საჯარო მოხელისთვის საჩუქრის მადლობის ნიშნად გადაცემა მოხდეს, თუ საჩუქარი:

- სიმბოლურია და რეალურად მცირე ღირებულებისაა;
- შეთავაზებულია გამჭვირვალედ;
- არ მოელის თანამდებობის პირი; და
- გადაეცემა მხოლოდ შესაბამისი ქმედებების დასრულების შემდეგ (არა დაწყებამდე).

ამ პოლიტიკით, აკრძალულია შემდეგი საჩუქრების გადაცემა:

- ნაღდი ფული ან ექვივალენტი;
- საათი;
- საკოლექციო კალამი; და
- სათხილამურო აღჭურვილობა.

საჯარო მოხელისთვის საჩუქრის გადაცემამდე, გთხოვთ გაიაროთ შიდა კონსულტაცია.

რა სახის საჩუქარია ნებადართული?

იხილეთ დანართი N4, სადაც ჩამოთვლილია ამ პოლიტიკით ნებადართული საჩუქრები და წარმომადგენლობითი ხარჯების ოდენობა. ასევე მითითებულია, თუ რა ფინანსურ ზღვარზეა საჭირო პირის მიერ შეტყობინების განხორციელება ან/და თანხმობის მიღება, რომ შესთავაზოს (ან მიიღოს) ან/და არ შესთავაზოს (ან არ მიიღოს) საჩუქარი ან წარმომადგენლობითი ხარჯებიდან სარგებელი.

ზოგადად, თანამშრომლებმა და ასოცირებულმა პირებმა კარგად უნდა გაიაზრონ საჩუქრის გადაცემის გარემოება და დრო.

საჩუქრის ან წარმომადგენლობითი ხარჯის მიზანი ყოველთვის უნდა იყოს:

- ბიზნეს კონტაქტების დამყარება ან შენარჩუნება;
- ჯგუფში შემავალი კომპანიის იმიჯზე და რეპუტაციაზე ზრუნვა; და
- ჯგუფში შემავალი კომპანიის საქონლის ან მომსახურებების რეკლამირება.

ასევე გასათვალისწინებელია საჩუქრის მიმღები პირის მიზანი. უნდა არსებობდეს მტკიცებულება, რომ მონაწილე მხარეები მოქმედებენ კარგი განზრახვით და არა კანონდარღვევის განზრახვით.

საბოლოო ჯამში, საჩუქრის გადაცემამდე ან მიღებამდე, ან წარმომადგენლობითი ხარჯის გაღებამდე, ან მისგან სარგებლის მიღებამდე, უნდა შემოწმდეს შემდეგი:

- მიმდინარეობს ან იგეგმება ჯგუფში შემავალი ნებისმიერი კომპანიის ტენდერი ან მსგავსი აქტივობა, რომელშიც მონაწილეობს საჩუქრის შემთავაზებელი;
- მიმდინარეობს ან იგეგმება საჩუქრის ადრესატის ტენდერი ან მსგავსი პროცესი, რომელშიც მონაწილეობს ჯგუფში შემავალი ნებისმიერი კომპანია; და
- რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი სუბიექტის მიერ წარსულში მოხდა საჩუქრის მიღება, ან მათთვის შეთავაზება.

შეიძლება თუ არა, რომ მესამე მხარის მეშვეობით ფინანსური ან სხვა უპირატესობის მიცემა ჩაითვალოს ქრთამად?

შეიძლება. კორუფციის ფაქტი შეიძლება დადგეს, როდესაც ქრთამად მიჩნეული უპირატესობა გაიცემა მესამე მხარის მეშვეობით. ეს შესაძლოა იყოს კომპანია, რომელიც მომსახურებებს უწევს ქრთამის მიმცემ კომპანიას, მხოლოდ ქრთამის გადასაცემად საბოლოო ადრესატისთვის. აღნიშნულში ხშირად შედის შუამავალი კომპანიის მიერ ფიქტიური მომსახურებების გაწევა.

რა არის არასათანადო (შეუფერებელი) ქცევა, კერძო სექტორის პირების მონაწილეობით?

არასათანადო ქცევის მაგალითები მოიცავს:

- ტენდერში უპირატესობების მინიჭება ტენდერის იმ მონაწილისთვის, რომლის შეთავაზებაც არ არის ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელი;
- მომწოდებლის შერჩევა არამყარი ბიზნეს პირობების, არამედ ბუნდოვანი, ან შემთხვევითი კრიტერიუმების საფუძველზე;
- ხელშეკრულების გაფორმება მხარისთვის მომგებიანი პირობებით; და
- სრულად ან ნაწილობრივი ფიქტიური მომსახურებების შესყიდვა.

რა არის არასათანადო (შეუფერებელი) ქცევა, საჯარო სექტორის პირების მონაწილეობით?

არასათანადო ქცევის მაგალითები მოიცავს:

- ტენდერში გამარჯვებულად გამოვლენა სატენდერო პროცედურების დროს, უფრო ხელსაყრელი ტარიფის შეთავაზება მოქმედი წესების დარღვევით;
- მოქმედი წესების დარღვევისთვის გათვალისწინებული საჯარიმო სანქციებიდან
- გათავისუფლება;
- სასამართლოში მხარის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანა, ფაქტობრივად და სამართლებრივად დასაბუთებული შემთხვევების გარდა; და
- კანონიერი საფუძვლის გარეშე კონკურენტის საგადასახადო აუდიტის ჩატარება.

ნებადართულია თუ არა ხელშეწყობისთვის თანხის გადახდა?

ხელშეწყობისთვის თანხის გადახდა არის საჯარო მოხელისთვის თანხის გადახდა, არსებული მოვალეობის/ფუნქციის შესრულებისთვის, ან ამ ფუნქციის შესრულების დაჩქარებისთვის. აკრძალულია ამ პოლიტიკით.

დაეკისრება თუ არა პასუხისმგებლობა კომპანიას, თუ მისი თანამშრომელი ან ასოცირებული პირი ჩართულია კორუფციაში?

დიახ. ზოგიერთი ქვეყნის (მაგალითად ჩეხეთის რესპუბლიკის) კანონმდებლობით, კომპანიას შესაძლოა დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, თუ თანამშრომელი ან სხვა პირი, რომელიც მას უწევს მომსახურებას (როგორიცაა კომერციული აგენტი ან ლობისტი) ქრთამს მისცემს მეორე პირს, კომპანიისთვის ბიზნეს უპირატესობის მოპოვების ან შენარჩუნების მიზნით.

რა გავლენას ახდენს კორუფცია თანამშრომლებზე და ასოცირებულ პირებზე?

კორუფციაში მონაწილე ნებისმიერ თანამშრომელს დაეკისრება დისციპლინარული სანქცია და შესაძლოა გათავისუფლდეს სამსახურიდან. ასოცირებულ პირთან გაფორმებული კონტრაქტი შესაძლოა შეწყდეს.

ნებისმიერი ასეთი პირი ასევე დგას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების რისკის ქვეშ. სისხლის სამართლის დანაშაულის ბრალის დადასტურების შემთხვევაში, პირს შეიძლება დაეკისროს ჯარიმა ან/და შეეფარდოს პატიმრობა. სასამართლომ ასევე შესაძლოა დააკისროს ზიანის ანაზღაურება.

რა გავლენას ახდენს კორუფცია ჯგუფში შემავალ კომპანიებზე?

თუ თანამშრომელი ან ასოცირებული პირი ჩართულია კორუფციაში, კომპანიის (ან ჯგუფში შემავალი კომპანიის) რეპუტაციას შესაძლოა მიადგეს სერიოზული ზიანი.

ამასთან, კომპანია შეიძლება დადგეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის რისკის ქვეშ. ჩეხეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობით, კომპანიას შესაძლოა დაეკისროს ფინანსური ჯარიმა 1.5 მილიარდი ჩეხური კრონის (დაახლოებით 95 მილიონი აშშ დოლარის) ოდენობით, ან/და აკრძალვა:

- საქმიანობის წარმოებაზე;
- ტენდერებში მონაწილეობასა ან საჯარო ხელშეკრულებების შესრულებაზე; ან/და
- გრანტების და სუბსიდიების მიღება.

სასამართლომ თავის გადაწყვეტილება შესაძლოა გახადოს საჯარო, რითაც სერიოზული ზიანი მიადგება კომპანიის რეპუტაციას. უკიდურეს შემთხვევებში, ჩეხეთის რესპუბლიკის სასამართლომ შესაძლოა გამოიტანოს გადაწყვეტილება კომპანიის ლიკვიდაციის შესახებ.

დანართი 2
ფულის გათეთრების ინდიკატორები

არ არსებობს ამომწურავი სია შემთხვევებისა, რომლებიც მიუთითებენ ფულის გათეთრებაზე, ან სცენარებისა, რომლებიც შესაძლოა ჩაითვალოს საეჭვოდ, ფულის გათეთრების კუთხით. ქვემოთ მოცემულია ფულის გათეთრების სადემონსტრაციო ხასიათის (არა ამომწურავი) მაგალითები:

- გარიგებას არ აქვს აშკარად გამოხატული მიზანი, არ არის ეკონომიკური ხასიათის, ან ხორციელდება უჩვეულო (არასტანდარტულ) პირობებში;
- გარიგება მოთხოვნილია დასაბუთებული განმარტების გარეშე, არ ხორციელდება საქონლის და მომსახურებების სტანდარტული შესყიდვის ფორმატში, რაც ჩვეულებრივ დადგენილია ჯგუფის მიერ, ან არ შედის ჯგუფის საქმიანობის და გამოცდილების სფეროში;
- კლიენტი ან ბიზნეს პარტნიორი უარს ამბობს წარმოადგინოს ნებისმიერი ინფორმაცია რაც დაკავშირებულია გარიგების მიზანთან;
- კლიენტის ან ბიზნეს პარტნიორის საკუთრების სტრუქტურა უჩვეულო ან ზედმეტად კომპლექსურია, კომპანიის ბიზნესის ხასიათის გათვალისწინებით;
- კლიენტი ან ბიზნეს პარტნიორი თავს არიდებს პირად კონტაქტს, ან ახორციელებს გარიგებას დაცვის საშუალებების გარეშე, მაგალითად როგორიცაა ელექტრონული ხელმოწერები;
- კლიენტი ან ბიზნეს პარტნიორი ინტენსიურად იყენებს ოფშორულ ანგარიშებს, კომპანიებს, ან სტრუქტურებს ისეთ გარემოებებში, რომელშიც დამკვეთს ან ბიზნეს პარტნიორს არ სჭირდება მათი გამოყენება; ან/და
- კლიენტი ან ბიზნეს პარტნიორი მდებარეობს ქვეყანაში, რომელიც ევროკომისიის მიერ მიჩნეულია ფულის გათეთრების საწინააღმდეგო სუსტი სისტემების მქონედ და ტერორიზმის დამფინანსებლად.[4]

თანამშრომლებმა და ასოცირებულმა პირებმა უნდა გააანალიზონ და დაადგინონ, არსებობს თუ არა სხვა მიზეზები, რომლებიც იწვევენ ფულის გათეთრების ეჭვს, კლიენტთან ან ბიზნეს პარტნიორთან გარიგების დადების კუთხით.

თუ გარიგება იწვევს ფულის გათეთრების ეჭვს, თანამშრომელს შეუძლია კონსულტაცია გაიაროს ჯგუფში შემავალი კომპანიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსთან (ან გენერალურ მრჩეველთან იურიდიულ საკითხებში)

---

4 ევროკომისიამ 2019 წლის 13 თებერვალს დაამტკიცა მესამე ქვეყნების სია, რომლებიც ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების სუსტი რეჟიმებით სარგებლობენ. ამ ქვეყნებში შედის: ავღანეთი, ამერიკული სამოა, ბაჰამის კუნძულები, ბოტსვანა, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, ეთიოპია, განა, გუამი, ირანი, ერაყი, ლიბია, ნიგერია, პაკისტანი, პანამა, პუერტო რიკო, სამოა, საუდის არაბეთი, შრი-ლანკა, სირია, ტრინიდადი და ტობაგო, ტუნისი, აშშ ვირჯინიის კუნძულები და იემენი.

დანართი 3
პოლიტიკის გაცნობის დადასტურების ფორმა

განცხადება-თანამშრომელი*

მე, ქვემოთ ხელისმომწერი ვაცხადებ, რომ:

- გავეცანი ENERGO-PRO a.s.-ის და ჯგუფში შემავალი კომპანიების (“ჯგუფი”) კორუფციის და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკას (“პოლიტიკა”);
- გავეცანი პოლიტიკის მოთხოვნებს;
- ვალდებულებას ვიღებ დავიცვა პოლიტიკის მოთხოვნები
- ჩემთვის გასაგებია, რომ პოლიტიკის მოთხოვნების დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს დისციპლინარული ზომები ან სამსახურიდან გათავისუფლება.

მე ასევე გავეცანი ჯგუფში შემავალი თითოეული კომპანიის უფლებას, რომელიც აღწერილია წინამდებარე პოლიტიკის მე-7 დანართში, რომ როგორც მონაცემთა ადმინისტრატორმა დაამუშავოს ჩემი პერსონალური მონაცემები, თუ ნებისმიერ დროს ჩართული ვიქნები დარღვევების დაფიქსირების პროცესში ან პროცედურაში, რომლის მიზანია დარღვევის არსებობის გამოვლენა.

თარიღი:
სახელი, გვარი:

*გამოიყენეთ საჭიროებისამებრ

განცხადება - ასოცირებული პირი (ფიზიკური)*

მე, ქვემოთ ხელისმომწერი ვაცხადებ, რომ:

- გავეცანი ENERGO-PRO a.s.-ის და ჯგუფში შემავალი კომპანიების (“ჯგუფი”) კორუფციის და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკას (“პოლიტიკა”);
- გავეცანი პოლიტიკის მოთხოვნებს;
- ვალდებულებას ვიღებ დავიცვა პოლიტიკის მოთხოვნები;
- ჩემთვის გასაგებია, რომ პოლიტიკის მოთხოვნების დარღვევა შესაძლოა გახდეს კონტრაქტის შეწყვეტის საფუძველი.

მე ასევე გავეცანი ჯგუფში შემავალი თითოეული კომპანიის უფლებას, რომელიც აღწერილია წინამდებარე პოლიტიკის მე-7 დანართში, რომ როგორც მონაცემთა ადმინისტრატორმა დაამუშავოს ჩემი პერსონალური მონაცემები, თუ ნებისმიერ დროს ჩართული ვიქნები დარღვევების დაფიქსირების პროცესში ან პროცედურაში, რომლის მიზანია დარღვევის არსებობის გამოვლენა.

თარიღი:
სახელი, გვარი:

*გამოიყენეთ საჭიროებისამებრ

ENERGO-PRO

განცხადება - ასოცირებული პირი (კომპანია)*

მე, ქვემოთ ხელისმომწერი, მოქმედი ქვემოთ მოცემული კომპანიის სახელით, როგორც მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი, ვაცხადებ, რომ:

- გავეცანი ENERGO-PRO a.s.-ის და ჯგუფში შემავალი კომპანიების (“ჯგუფი”) კორუფციის და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკას (“პოლიტიკა”);

- გავეცანი პოლიტიკის მოთხოვნებს;

- ვალდებულებას ვიღებ დავიცვა პოლიტიკის მოთხოვნები და ვუზრუნველყო ქვემოთ მოცემული კომპანიის მენეჯერების (მათ შორის დირექტორების და სხვა მოხელეების), თანამშრომლების და სხვა კოლეგების მიერ პოლიტიკის მოთხოვნების დაცვა;

- ჩემთვის გასაგებია, რომ პოლიტიკის მოთხოვნების დარღვევა შესაძლოა გახდეს კონტრაქტის შეწყვეტის საფუძველი.

მე ასევე გავეცანი ჯგუფში შემავალი თითოეული კომპანიის უფლებას, რომელიც აღწერილია წინამდებარე პოლიტიკის მე-7 დანართში, რომ როგორც მონაცემთა ადმინისტრატორმა დაამუშავოს ჩემი პერსონალური მონაცემები, თუ ნებისმიერ დროს ჩართული ვიქნები დარღვევების დაფიქსირების პროცესში, ან პროცედურაში, რომლის მიზანია დარღვევის არსებობის გამოვლენა.

თარიღი:
სახელი, გვარი:
კომპანია:

*გამოიყენეთ საჭიროებისამებრ

დანართი 4

საჩუქრების და წარმომადგენლობითი ხარჯების კატეგორიზაცია

საჩუქრები ან წარმომადგენლობითი ხარჯები თანამშრომლისთვის ან ასოცირებული პირისთვის (შეთავაზებული ან მიღებული)

თანამშრომელი ან ასოცირებული პირი ვალდებულია საჩუქრის მიღების შესახებ, რომლის ღირებულება აღემატება 75 აშშ დოლარს (ან ექვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში), აცნობოს პირს (ABC საკონტაქტო პირს), რომელიც პერიოდულად ინიშნება ადამიანური რესურსების დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ, ან მისი არარსებობის შემთხვევაში HR-ს.

თანამშრომელი ან ასოცირებული პირი ვალდებულია ABC საკონტაქტო პირისგან (ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკონტაქტო პირისგან), აიღოს ნებართვა საჩუქრის მიღებაზე, რომლის ღირებულება აღემატება 150 აშშ დოლარს (ან ექვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში), ან წარმომადგენლობითი ხარჯით მიღებულ სარგებელზე (რომელიც გადახდილია მესამე მხარის მიერ), რომლის ღირებულება აღემატება 150 აშშ დოლარს (ან ექვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში).

თუ შესაბამისი ABC საკონტაქტო პირი (ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკონტაქტო პირი) არ გასცემს ნებართვას შეთავაზებულ ან მიღებულ საჩუქარზე ან წარმომადგენლობითი ხარჯით მისაღებ სარგებელზე (რომელიც გადახდილია მესამე მხარის მიერ), რომლის ღირებულება თითოეულ შემთხვევაში აღემატება 150აშშ დოლარს (ან ექვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში), აღნიშნულ საჩუქარზე და წარმომადგენლობით ხარჯზე თანამშრომელმა ან ასოცირებულმა პირმა უნდა თქვას უარი. ნებისმიერი საჩუქარი რომელიც მიღებულია ასეთ გარემოებებში უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს ABC საკონტაქტო პირს (ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკონტაქტო პირს) შემდგომი საქველმოქმედო მიზნებისთვის.

თუ თანამშრომელს ან ასოცირებულ პირს შესთავაზებენ საჩუქარს ან წარმომადგენლობითი ხარჯით მისაღებ სარგებელს, რომლის ღირებულება აღემატება 300 აშშ დოლარს (ან ექვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში), ასეთ საჩუქარზე და წარმომადგენლობით ხარჯზე უარი უნდა ითქვას. თუ საჩუქარი უკვე მიღებულია ასეთ გარემოებებში, მაშინ იგი უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს ABC საკონტაქტო პირს (ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკონტაქტო პირს) შემდგომი საქველმოქმედო მიზნებისთვის. კონკრეტულ შემთხვევებში, გარემოებებიდან გამომდინარე, ABC საკონტაქტო პირს (ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკონტაქტო პირს) შეუძლია დაუშვას გამონაკლისი წერილობითი ფორმით და თანამშრომელს ან ასოცირებულ პირს მისცეს უფლება მიიღოს და დაიტოვოს საჩუქარი ან წარმომადგენლობითი ხარჯით მისაღები სარგებელი.

საჩუქრის გაცემა ან წარმომადგენლობითი ხარჯის გაღება მესამე მხარისთვის (შეთავაზებული ან გადაცემული)

თანამშრომელი ან ასოცირებული პირი ვალდებულია ABC საკონტაქტო პირს (ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკონტაქტო პირს), აცნობოს ნებისმიერი საჩუქრის გაცემის შესახებ ან წარმომადგენლობითი ხარჯის გაღების შესახებ (რომელიც გადახდილია ჯგუფში შემავალი კომპანიის მიერ), რომლის ღირებულება აღემატება 75 აშშ დოლარს (ან ექვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში).

თანამშრომელი ან ასოცირებული პირი ვალდებულია ABC საკონტაქტო პირისგან (ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკონტაქტო პირისგან) აიღოს ნებართვა მესამე მხარისთვის საჩუქრის გადაცემაზე ან წარმომადგენლობითი ხარჯის გაღებაზე (რომელიც გადახდილია ჯგუფში შემავალი კომპანიის მიერ), რომლის ღირებულება აღემატება 150 აშშ დოლარს (ან ექვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში).

თანამშრომელს ან ასოცირებულ პირს არ აქვს უფლება შესთავაზოს ან გადასცეს საჩუქარი, ან გაიღოს წარმომადგენლობითი ხარჯი მესამე მხარისთვის (რომელიც გადახდილია ჯგუფში შემავალი კომპანიის მიერ), რომლის ღირებულება აღემატება 300 აშშ დოლარს (ან ექვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში). კონკრეტულ შემთხვევებში, გარემოებებიდან გამომდინარე, ABC საკონტაქტო პირს (ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკონტაქტო პირს), შეუძლია წერილობითი ფორმით დაუშვას გამონაკლისი და თანამშრომელს ან ასოცირებულ პირს მისცეს უფლება შესთავაზოს ან გადასცეს საჩუქარი.

ანგარიშგების და მოთხოვნის დამტკიცების ფორმა

ნებისმიერ ზემოაღნიშნულ შემთხვევაზე შეთავაზების, ან მიღების ფორმების, ან ABC საკონტაქტო პირის (ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკონტაქტო პირის) ნებართვის მოთხოვნის ფორმების პოვნა შესაძლებელია მომდევნო დანართში მოცემული ბმულების მეშვეობით. ფორმა წარმოდგენილ უნდა იქნას შეთანხმებული ელექტრონული საშუალების მეშვეობით.

ნებართვის გაცემის გადაწყვეტილების მიღებისას, შესაბამისმა ABC საკონტაქტო პირმა (ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულმა საკონტაქტო პირმა) უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

- შეთავაზებული საჩუქრის ან წარმომადგენლობითი ხარჯის დასაბუთება ბიზნეს ინტერესებიდან გამომდინარე:
  - საქმიანი კონტაქტების დამყარება ან შენარჩუნება;
  - ჯგუფში შემავალი კომპანიის იმიჯზე ან რეპუტაციაზე ზრუნვა; ან
  - ჯგუფში შემავალი კომპანიის საქონლის ან მომსახურებების რეკლამირება;
- იმ პირის (პირების) ვინაობა ვისთვისაც ხდება საჩუქრის ან წარმომადგენლობითი ხარჯის შეთავაზება/გადაცემა/გაღება, ან ვისგანაც ხდება საჩუქრის ან წარმომადგენლობითი ხარჯით სარგებლის მიღება;
- ასეთი პირის (პირების) შესაბამისი ასოცირებული პირის ან დაკავშირებული პირის ვინაობა; და
- საჩუქრის შეთავაზების ან წარმომადგენლობითი ხარჯის გაღების (წარმომადგენლობითი ხარჯით სარგებლის მიღების) გარემოებები და დრო, კერძოდ:
  - მიმდინარეობს ან დაგეგმილია ჯგუფში შემავალი რომელიმე კომპანიის

ტენდერი ან მსგავსი პროცესი, რომელშიც მონაწილეობს შემთავაზებელი;

  - მიმდინარეობს ან დაგეგმილია შემთავაზებლის ტენდერი ან მსგავსი პროცესი,

რომელშიც მონაწილეობს ჯგუფში შემავალი რომელიმე კომპანია; და

- ზემოაღნიშნული პირებისთვის ადრე მოხდა საჩუქრის გადაცემა, ან მათგან მიღება, ასევე

წარმომადგენლობითი ხარჯის გაღება ან სარგებლის მიღება.

N 4 დანართის დამატება

მოხსენების და ნებართვის მოთხოვნის ფორმები

1. თანამშრომლებისთვის, რომლებსაც აქვთ პირადი ანგარიში EDA-ში (ჯგუფის სასწავლო აკადემია)

გთხოვთ, შეხვიდეთ EDA- ში (http://eda.energo-pro.com/) და შეავსოთ შესაბამისი ფორმა განყოფილებაში ABC / AML ფორმები.

2. თანამშრომლების ან ასოცირებული პირებისთვის EDA- ს პირადი ანგარიშის გარეშე

გთხოვთ, გამოიყენოთ შემდეგი ბმული (http://eda.energo-pro.com/course/view.php?id=3#section-2) და შეავსოთ შესაბამისი ფორმა (მომხმარებლის სახელი: ep_rforms, პაროლი: engMee6).

3. თითოეულ შემთხვევაში შემდეგი ფორმებია ხელმისაწვდომი:

- მოხსენების ფორმა (75-150 აშშ დოლარი);
- მოთხოვნის ფორმა (150-300 აშშ დოლარი);
- მოთხოვნის ფორმა (300 აშშ დოლარზე მეტი).

დანართი 5
დარღვევების დაფიქსირების პროცედურა

ანგარიშგების ვალდებულება

ყოველი თანამშრომელი ან ასოცირებული პირი ვალდებულია დააფიქსიროს ნებისმიერი დარღვევა, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს კორუფციის ან ფულის გათეთრების ფაქტს.

ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ფაქტების საფუძველზე, რომლებიც რეალურად ცნობილია დარღვევის დამფიქსირებელი პირისთვის. ინფორმაცია უნდა დაფიქსირდეს კეთილსინდისიერად და არა ვინმეს სასარგებლოდ, ან ვინმესთვის ზიანის მისაყენებლად.

განცხადებას შეძლებისდაგვარად უნდა ახლდეს დამადასტურებელი დოკუმენტები ან სხვა მონაცემები. თუმცა, აუცილებელი არ არის იმ დოკუმენტაციის ან სხვა მონაცემების აქტიურად მოძიება, რომლებიც არ არის ხელმისაწვდომი დარღვევის დამფიქსირებელი პირისთვის.

განცხადებები წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მოცემულ დანართში მითითებული ბმულის გამოყენებით და გაიგზავნოს შეთანხმებული ელექტრონული საშუალებით.

ვის ეგზავნება ინფორმაცია (განცხადება)

თანამშრომელი ვალდებულია დარღვევის შესახებ აცნობოს (როგორც ეს განსაზღვრულია ზემოთ):

- მე-5-ე ნაწილში აღნიშნული ჯგუფის „მხილების“ პოლიტიკის WBDP პირს; ან
- თუ ეჭვობს, რომ შესაბამისი WBDP პირი მონაწილეობს დარღვევაში, ან თუ განცხადებაზე რეაგირება არ ხდება 7 დღის განმავლობაში - ჯგუფის გენერალურ მრჩეველს იურიდიულ საკითხებში (GC).

ასოცირებული პირი ვალდებულია დარღვევის შესახებ აცნობოს (როგორც ეს განსაზღვრულია ზემოთ):

- ასოცირებულ პირსა და ჯგუფის შესაბამის კომპანიას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ საკონტაქტო პირს; ან
- თუ ეჭვობს, რომ საკონტაქტო პირი მონაწილეობს დარღვევაში, ან თუ განცხადებაზე რეაგირება არ ხდება 7 დღის განმავლობაში - ჯგუფის გენერალურ მრჩეველს იურიდიულ საკითხებში (GC).

მოკვლევა განცხადებებზე ხორციელდება **N6** დანართში მოცემული პროცედურის შესაბამისად.

განცხადებების მიმღები პირები დაადგენენ, საჭიროა თუ არა გარე ანგარიშგების განხორციელება შესაბამისი სამართლებრივი სისტემის მიხედვით და საჭიროებისამებრ შეადგენენ მოხსენებას ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ გამოვლინდება, რომ მომხდარი ფაქტი საჭიროებს ასეთი პროცედურის განხორციელებას.

შესაბამისი საგამოძიებო ან სხვა ორგანოების სავალდებულო ინფორმირება, ან ნებაყოფლობითი ინფორმირება, განხორციელდება ჯგუფში შემავალ თითოეულ კომპანიაზე გავრცელებული ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად.

დარღვევის შესახებ ინფორმაციის წარმდგენი პირის უფლებები და მოვალეობები

დარღვევის შესახებ განცხადებები განიხილება, როგორც მკაცრად კონფიდენციალური. შეტყობინება დარღვევის შესახებ არ მოახდენს გავლენას თანამშრომლის დასაქმების პირობებზე, ან ასოცირებული პირის სახელშეკრულებო ან კომერციულ საქმიანობაზე. არც ერთი პირი რომელიც წარადგენს ინფორმაციას დარღვევაზე არ შეიძლება გახდეს „მსხვერპლი“ ან დაექვემდებაროს უსამართლო მოპყრობას. ნებისმიერი მსგავსი ქცევა თანამშრომლის ან ასოცირებული პირის მხრიდან ჩაითვლება დისციპლინარულ დარღვევად და სერიოზულ პრობლემად საქმიან ურთიერთობაში.

მოკვლევის პროცედურების დასრულებამდე, დარღვევის შესახებ ინფორმაციის წარმდგენ პირს არ აქვს უფლება გაამჟღავნოს სავარაუდო დარღვევის შესახებ ინფორმაცია ჯგუფის შიგნით ან მის გარეთ, მათ შორის მედიასთან. თანამშრომლის ან ასოცირებული პირის მიერ ასეთი ინფორმაციის გამჟღავნება ჩაითვლება დისციპლინარულ დარღვევად ან სერიოზულ პრობლემად საქმიან ურთიერთობაში.

N5 დანართის დამატება
დარღვევის დაფიქსირების ფორმა

1. თანამშრომლებისთვის, რომლებსაც აქვთ პირადი ანგარიში EDA-ში (ჯგუფის სასწავლო აკადემია)
გთხოვთ, შეხვიდეთ EDA- ში (http://eda.energo-pro.com/) და შეავსოთ შესაბამისი ფორმა განყოფილებაში ABC / AML ფორმები.

2. თანამშრომლების ან ასოცირებული პირებისთვის EDA- ს პირადი ანგარიშის გარეშე
გთხოვთ, გამოიყენოთ შემდეგი ბმული (http://eda.energo-pro.com/course/view.php?id=3#section-2) და შეავსოთ შესაბამისი ფორმა (მომხმარებლის სახელი: ep_rforms, პაროლი: engMee6).

3. თითოეულ შემთხვევაში შემდეგი ფორმებია ხელმისაწვდომი:

- დარღვევის დაფიქსირების ფორმა.

დანართი 6

შიდა მოკვლევის პროცედურა

ჯგუფში შემავალი რომელიმე კომპანიის თანამშრომლის ან ასოცირებული პირის შესაძლო დარღვევის შესახებ განცხადების (როგორც ეს მოცემულია დანართ N5-ში) მიღების შემთხვევაში, დაიწყება შიდა მოკვლევის პროცედურა, რომელიც მოცემულია ქვემოთ.

დარღვევის შესახებ განცხადების მიღება და თავდაპირველი შემოწმება

განცხადების თავდაპირველ შემოწმებას ახორციელებს განცხადების მიმღები პირი, რომელიც მითითებულია წინამდებარე პოლიტიკის დანართ N5-ში.

თუ ჯგუფში შემავალ კომპანიაში არსებობს შიდა აუდიტის დეპარტამენტი/განყოფილება, მაშინ განცხადების თავდაპირველ შემოწმებას და მასთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებებს (რაც მოცემულია ქვემოთ) განახორციელებს ეს დეპარტამენტი. თუ განცხადების მიმღები და GC წარმოადგენენ ერთი და იმავე პირს, მაშინ ქვემოთ მოცემული ნაბიჯები, რომლებიც მოიცავს მათ კავშირს ან სხვა ურთიერთქმედებას, იქნება გამოტოვებული.

მიმღები გაითვალისწინებს/მოინიშნავს მოხსენების მნიშვნელოვან პუნქტებს და მოითხოვს დოკუმენტურ მტკიცებულებებს, თუ ეს შესაძლებელია. ანგარიშგებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს რაც შეიძლება მეტი დეტალი თარიღების ჩათვლით და შესაძლო დარღვევების დეტალური აღწერა. საჭირო მონაცემები მოიცავს:

- თარიღი, დრო და ადგილმდებარეობა;
- ჩართული პირის (პირების) სახელები, როლები და განყოფილება;
- ურთიერთობა ჩართულ პირთან (პირებთან);
- შესაძლო დარღვევის ხასიათი;
- როგორ იქნა მიღებული ინფორმაცია შესაძლო დარღვევების შესახებ;
- მოწმეები;
- სხვა შესაბამისი ინფორმაცია ანგარიშის გასამყარებლად (მაგ. დოკუმენტები, ფოტოები და ა.შ.).

მიმღები დაადასტურებს თითოეული მოხსენების მიღებას 7 დღის განმავლობაში და შემდეგ ჩაატარებს პირველად შიდა გამოძიებას, შესაბამისი ოფისებისა და / ან ობიექტებისგან ნებისმიერი საჭირო დახმარების აღმოჩენის მიზნით.

თუ საჭიროა სხვადასხვა ოფისებთან / ობიექტებთან კონტაქტი, მიმღები დარწმუნდება, რომ გამოძიების ხელშემწყობი პირები იცნობენ ამ პოლიტიკის დებულებებს და ანგარიშგების პირის დაცვის მოთხოვნას, მისთვის სამაგიეროს ნებისმიერი ფორმით გადახდის აღკვეთის ჩათვლით.

გამოძიების გაგრძელების გადაწყვეტილება

თუ პირველადი გამოძიება მიუთითებს შესაძლო დარღვევებზე, ანგარიშის მიმღები შეატყობინებს GC- ს და განაგრძობს გამოძიებას. მიმღები განაგრძობს GC-ს ინფორმირებას გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.

გამოძიების წარმოება და შიდა ანგარიშგება/რეპორტინგი

ანგარიშის/მოხსენების საგნიდან და არსებული დამხმარე მტკიცებულებიდან გამომდინარე, მიმღები აწარმოებს საფუძვლიან შესწავლას. საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ შიდა და გარე იურიდიულ კონსულტაციებს. გამოძიების პროცესის დროს საჭიროა:

- მიჰყვეთ სამართლიან პროცესს;
- იყოთ კონფიდენციალური (მათ შორის, არაუფლებამოსილი პერსონალისთვის მიუწვდომლობით);
- გამოძიება ჩატარდეს ეფექტურად და დაუყოვნებლად;
- დადგინდეს, არსებობს თუ არა საკმარისი მტკიცებულება სავარაუდო ქმედებების ან უმოქმედობების ჭეშმარიტების დასადგენად;
- იყოთ დამოუკიდებელი იმ ხალხისგან, რომელთაც აინტერესებთ მოხსენება/ანგარიშგება;
- გამოძიებულ იქნეს მონაწილე პირების უდანაშაულობა გამოძიების დასრულებამდე.

მიმღები მოამზადებს გამოძიების ანგარიშგებას, რომელშიც აღწერილია თავდაპირველი დასკვნის თემა და გამოძიების შედეგები. გამოძიების ანგარიშგება მიეწოდება GC-ს.

გამოძიების შემდეგ განხორციელებული ქმედებები

GC განიხილავს გამოძიების დასკვნას არა უმეტეს 1 კვირის განმავლობაში და ამის შემდეგ დაუყოვნებლივ გადასცემს ამგვარი გამოძიების დასკვნას, მისი ძირითადი კვლევების/დასკვნების შეჯამებას და სამოქმედო გეგმას დირექტორთა საბჭოს დასამტკიცებლად.

პირველადი მოხსენების მიმღები აცნობებს გამოძიების შედეგებს მომხსენებელ პირს და აგრეთვე დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ მოქმედებათა მსვლელობას, მიმღების მიერ პირველადი ანგარიშის მიღების დადასტურებიდან 3 თვის განმავლობაში.

დანართი 7
მონაცემთა დაცვა

დარღვევის შემტყობინებელი თანაშრომლების და ასოცირებული პირების, ან დარღვევის გამოსავლენად დაწყებულ წარმოებაში მონაწილე თანამშრომლების და ასოცირებული პირების პერსონალური მონაცემები (მე-5 დანართის შესაბამისად) შეიძლება დამუშავდეს ჯგუფში შემავალი შესაბამისი კომპანიის - როგორც მონაცემთა ადმინისტრატორის მიერ.

მონაცემთა დამუშავების მიზანია დადგინდეს, ჰქონდა თუ არა ადგილი დარღვევას, განისაზღვროს დარღვევით გამოწვეული რისკი ჯგუფისთვის და შემდგომი სამართლებრივი ზომები, მათ შორის სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირება კორუფციისა და ფულის გათეთრების ფაქტების შესახებ.

ჯგუფში შემავალი შესაბამისი კომპანია მონაცემებს დაამუშავებს მონაცემთა ადმინისტრატორის სამართლებრივად დასაბუთებული ინტერესების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც უპირატესობა ენიჭება მონაცემთა სუბიექტის ინტერესებს, ან ფუნდამენტურ უფლებებს და თავისუფლებებს.

პირებს, რომელთა პერსონალური მონაცემები მუშავდება ზემოაღნიშნული წესით, უფლება აქვთ ჯგუფში შემავალ კომპანიას მოთხოვონ დაშვება პერსონალურ მონაცემებზე და შეასწორონ, წაშალონ მონაცემები, შეზღუდონ მონაცემების დამუშავების მასშტაბი, ან უარი თქვან მონაცემების დამუშავებაზე. აღნიშნული უფლებები ექვემდებარება კანონით დადგენილ შეზღუდვებს. მონაცემთა სუბიექტს ასევე უფლება აქვს საჩივრით მიმართოს შესაბამის საჯარო ორგანოს, რომლის კომპეტენციაშიც შედის პერსონალურ მონაცემთა დაცვა.

პერსონალური მონაცემები რომელთა დამუშავდება ხორციელდება ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად, შეიძლება გაეგზავნოს პირებს, რომლებიც ჯგუფში შემავალ კომპანიას უწევენ იურიდიულ ან აუდიტორულ მომსახურებებს, ან მტკიცებულებების შეგროვების მიზნით, მავალდებულებელი კანონმდებლობის შესაბამისად. ევროპის ეკონომიკურ არეალში გენერირებული პერსონალური მონაცემების გავრცელება არ ხორციელდება ამ არეალის გარეთ.

პერსონალური მონაცემები რომელთა დამუშავება ხორციელდება ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად, დამუშავდება მავალდებულებელი კანონმდებლობით დასაშვები ან მოთხოვნილი ვადით, ან ხანდაზმულობის ვადის ამოწურვამდე.

*****